ევროკავშირი
საქართველოსთვის

World Vision
GEORGIA

ბავშვთა დაცვა ძალადობისაგან

(რეფერირების პროცედურები)

რა არის ძალადობა?

ნებისმიერი ქმედება, ან უმოქმედობა ზრდასრული ადამიანის მხრიდან, რომელიც ზიანის რისკის ქვეშ აყენებს ბავშვის ფსიქიკურ და ფიზიკურ კეთილდღეობას, საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, განვითარებას და უფლებების რეალიზებას.

ბავშვზე ძალადობის ფორმები:

ფიზიკური ძალადობა - ცემა, წამება, სხეულის დაზიანება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს და ტანჯვას. ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ბავშვის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს.

სექსუალური ძალადობა - ბავშვთან სექსუალური კავშირი ან ამგვარი განზრახვა, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება, ბავშვის ჩართვა პროსტიტუციაში, პორნოგრაფიაში, ბავშვისთვის არასათანადო/გარყვნილი სახის მასალისა და ვიდეოს ჩვენება და სხვა სექსუალური ხასიათის ქმედება ბავშვის მიმართ, რომელიც არ შეესაბამება მის ასაკსა და განვითარებას.

ემოციური (ფსიქოლოგიური) ძალადობა - შეურაცხყოფა, შანტაჟი, მუქარა, დაცინვა, დამცირება ან სხვა ისეთი მოქმედება, მათ შორის ოჯახის წევრის მიერ და ოჯახის წევრის მიმართ ბავშვის თანდასწრებით, რომელიც იწვევს ბავშვის პატივისა და ღირსების შელახვას, დაშინებას და ძლიერ ემოციურ სტრესს.

ეკონომიკური ძალადობა - ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებლით და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას.

იძულება - ბავშვის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება შეასრულოს ან არ შეასრულოს ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება მის ნება-სურვილს, როგორიცაა იძულებითი ქორწინება, ნივთიერებათა ავად მოხმარება, მოწყალების თხოვნა, ბავშვის ჩართვა შრომით საქმიანობაში, მათ შორის წვრილმან ვაჭრობაში, ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმა/თანამონაწილეობა, ბავშვის მიერ მისთვის ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და ღირსებისათვის საზიანო საქმის შესრულება.

უგულებელყოფა - ბავშვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, საფრთხისაგან დაუცველობა, დაბადების რეგისტრაციისათვის ან/და ბავშვისათვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოწესრიგებისათვის, აგრეთვე სამედიცინო და სხვა მომსახურებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა მშობლის, სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან მეურვის მიერ.

ვის ევალება ძალადობის შემთხვევების გამოვლენა?

2016 წლის 12 სექტემბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება #437 - ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე, რომლის მიზანია ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის ხელშეწყობა საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების გზით ბავშვის დაცვა ძალადობის ყველა ფორმისაგან ოჯახში და მის გარეთ.

ამ დოკუმენტის თანახმად ძალადობის შემთხვევის გამოვლენა ევალება:

ყველა დაწესებულებასა და ორგანოს, რომელსაც შეხება აქვს ბავშვებთან ან/და მათ ოჯახებთან ან იმ გარემოსთან, სადაც ბავშვი იმყოფება მათ შორის სკოლამდელი, სასკოლო და არაფორმალური საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მანდატურის სამსახურს, საბავშვო ბაღებს, სამედიცინო სერვისების მიმწოდებლებს (მათ შორის სოფლის ექიმებს), მუნიციპალიტეტებს/მერიას, სოციალური მომსახურების სააგენტოს, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ბავშვთა სპეციალიზირებულ დაწესებულებებს, საუბნო სამსახურს თუ საპატრულო პოლიციას.

! ძალადობის შესახებ შეტყობინება შეუძლია ნებისმიერ მოქალაქეს.

როდის ხდება რეფერირება?

საქართველოს თითოეული მოქალაქე ვალდებულია, ბავშვზე ძალადობის აღმოჩენის, ან ამგვარი ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, გააკეთოს შეტყობინება და აცნობოს აღნიშნულის შესახებ უფლებამოსილ ორგანოს, როგორიცაა მაგალითად, პოლიცია, ან სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო.

რეფერირებაში ჩართული ყველა სუბიექტი ვალდებულია ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენისას, ადგილზე გაანალიზოს შემთხვევა და რეაგირება მოახდინოს მისივე უწყების ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების სამოქმედო ინსტრუქციის მიხედვით.

რა შეიძლება იყოს ბავშვზე ძალადობის ეჭვის წყარო?

ბავშვზე ძალადობის ეჭვის წყარო შეიძლება იყოს ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილ ფაქტორთაგან:

- ✓ ბავშვზე სხეულის დაზიანების ნიშნების არსებობა (სილურჯეები, ახალი ჭრილობები, ახალი ნაკაწრები, ახალი იარები, რომელთა ახსნა ბავშვს უჭირს, ან სხვადასხვაგვარად ხსნის, გაძნელებული სიარული, შეშუპებული სხეულის ნაწილები, მოტეხილობები);

- ბავშვის საეჭვო ქცევა (ბავშვი აღგზნებულია, დათრგუნულია, აქვს შიშები, არ უნდა სკოლაში სიარული, არარეგულარულად დადის სკოლაში, არ სწავლობს, მოუვლელია, არ უნდა სახლში დაბრუნება, ასაკის შეუფერებლად სექსუალურია, აქვს სექსის შესახებ ასაკისათვის შეუფერებელი ცოდნა, რადიკალურად შეცვალა ხასიათი, ვერ ხსნის ტრავმის მიზეზებს).

რას მოიცავს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემა?

- ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენას.
- ბავშვის მდგომარეობის შეფასებას.
- ბავშვზე ძალადობის შემთხვევის შესახებ შესაბამისი ორგანოების ინფორმირებას.
- საჭიროების შემთხვევაში, ბავშვის განცალკევებასა და განთავსებას უსაფრთხო გარემოში.
- ძალადობის შემთხვევაზე ზედამხედველობას.

რა არის გადაუდებელი შემთხვევა?

მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ბავშვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან შეიძლება გამოიწვიოს მისი სიკვდილი ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება მომდევნო 24 საათის განმავლობაში.

რას გამოიწვევს ბავშვზე ძალადობის გამოვლენისა და შესაბამისი ინფორმაციის უფლებამოსილი ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა?

ფიზიკური პირის, ისევე როგორც იურიდიული პირის (დაწესებულება) მიერ რეფერირების შეუსრულებლობა იწვევს ადმინისტრაციულ სასჯელის სხვადასხვა ფორმას, მათ შორის გაფრთხილებას, ჯარიმას, და სხვ. სასჯელის სახე განისაზღვრება ძალადობის ტიპისა და შეუტყობინებლობის შედეგების გათვალისწინებით.

ბავშვთა დაცვისა და ძალადობის შემთხვევაზე რეფერირების პროცედურების შესახებ დეტალური ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ World Vision საქართველოს ვებ-გვერდზე www.worldvision.ge განთავსებულ ონლაინ ვიდეო კურსზე, რომელიც არის უფასო ყველა დაინტერესებული პირისთვის.

დაასკანერეთ QR კოდი და გაიგეთ მეტი ბავშვთა და მოზრდილთა დაცვის პოლიტიკის შესახებ.

ვის მივმართოთ ბავშვზე ძალადობის ფაქტის, ან ამგვარი ეჭვის გაჩენის შემთხვევაში:

საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ნომერი
„112“ უფასო ცხელი ხაზი
24/7 საათის განმავლობაში

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა
საკონსულტაციო „ცხელი ხაზი“ -
116 -006

ბავშვთა დახმარების „ცხელი ხაზი“ -
111

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო „ცხელი ხაზი“ -
15 05

ასევე, შეგიძლიათ მიმართოთ სსიპ სახელმწიფო
ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა,
დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს
შემდეგ მისამართზე:
მიხეილ ასათიანის ქუჩა N9, ქ.თბილისი

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია World Vision საქართველო და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.